№ 12

სამშაბათი, 18 იანვარი, 1900 წ.

1877—1900

№ 12

სამშაბათი, 18 იანვარი, 1900 წ.

Тбилисский филиал ИМЭЛ при ЦК ВКП(б) Библиотека

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

საქ. მუზ. ბიბლიოთეკა БИБЛИОТЕКА Музея Рев. Грузии

იულია ალექსანდრეს ასული, ეგნატე და ივანე ონისიმეს ძენი იოსელიანები და თავადნი ელენე იოსების ასული და დავით დიმიტრის ძე ციციანოვები აუწყებენ გარდაცვალებასა—პირველი მაზლისას, მეორენი ძმისას და მესამენი სიძისას,

**ექიმის გიორგი ონისიმეს ძის იოსელიანისას**

და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ მისის გვამის გასვენებაზედ დასასწრებლად. მიცვალებულს გაასვენებენ ხუთშაბათს, 20 იანვარს, დილის 9 საათზედ, საკუთარის სახლიდამ ბაგრატიონის ქუჩ., № 4, ანჩისხატის ტაძარში.

პანაშვიდი გადახდილ იქმნება ყოველ დღე დილით 12 საათზედ და საღამოთი 7 საათზედ. (2—260—1)

1167

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 იანვარს, 1900 წ.

ბენეფისი

**მ. მ. საფაროვისა**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**ალლუმი**

კომედ. 4 მოქმ. გადმოკ. ვ. გუნიას-მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

534

ვისაც სურს კარგის ჯიშის

**აბრეშუმის ჭიის თესლი**

თეთრი და ყვითელი, ალთაზისა, ფერრანისა და ალთაზისა და ბერტეს ფირმებისა, ტფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ განხილული, შეუძლიან სასყიდლად მიჰმართოს დ. ხონში ბ-ნ ივანე სიმონის ძე შარაშიძეს.

ი. ალთაზი (5—250—2)

## გრიგორ ბენენსონის

### საქონლის საწყობების გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ 1900 წლის 1 იანვრიდგან მთავრობის ნება-რთვით გაიხსნება ქ. ბაქოში სავარრანტო საწყობები სხვა და სხვა საქონლის შესანახად. ამასთან საქონლის პატრონთ მიეცემათ მოწმობანი საქონლის შენახვისა, გირავნობისა, და აგრეთვე სესხი. საწყობებს სახელად ეწოდება:

**„საქონლის საწყობები გრიგორ ბენენსონისა ქ. ბაქოში".**

ამას გარდა გამგეობა კისრულობს, საქონლის პატრონთა სურვილისამებრ, საქონლის გადმოტვირთვას, დატვირთვას, მიტანას, დაზღვევას, განაწილებას, სადამოჟნო გარდასახადის გასტუმრებას და სხვა ოპერაციებს, რომელნიც აღნიშნულია ვაჭრობის წესდ. მე-719 მუხლში; აგრეთვე მიღებას ფულისას საქონლის დამკვეთთაგან და საქონლის სხვა სახელმწიფოში გადაგზავნას.

საქონლის შენახვისათვის განსაკუთრებული ნიხრი იქმნება, რომელიც ყოველთვის ფინანსთა სამინისტროს წარედგინება დასამტკიცებლად, და დაბეჭდილი იქმნება ყოველთა საცოდნელად.

ცნობებისათვის მსურველმა უნდა მიჰმართოს გამგეობის კანტორას, რომელიც ბაქოშია მილიუტინის ქუჩაზედ კრასილნიკოვის სახლში, ხოლო საწყობები მოთავსებულია ნავთსადგურთან, წყლის-პირის ქუჩაზედ № 34.

ადრესი დეპეშებისათვის: ბაქო „ბენენსონი". (3—3).

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ვაადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილის) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ს. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ვ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი**. 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი**.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბიბთაბეგოვი**—საფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

## ექიმი

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.** (100—31—76)

ტფილისი, 18 იანვარი

წინა წერილში *) მკითხველებს დავპირდით გავაცნოთ უმაღლესად დამტკიცებულ კომისიის მიერ ცოლ-ქმრის განცალკევებით ცხოვრების შესახებ შემუშავებული წესები. ამ წესების უმთავრესი აზრი შემდეგია:

განსაკუთრებით შესაწყნარებელს შემთხვევაში ოლქის სასამართლოს შეუძლიან, ერთ-ერთის მეუღლის თხოვნის თანახმად, ნება დართოს მას ცალკე ცხოვრებისა ქორწინების დაურღვევლად. ასეთის ნება-რთვისათვის, რასაკვირველია, საკმაოდ საბუთიანი და შესაწყნარებელი მიზეზი უნდა წარუდგინოს იმ მეუღლემ, რომელიც განცალკევებით ცხოვრების უფლებასა თხოულობს. ასეთ შესაწყნარებელ მიზეზად შეიძლება დანახულ იქმნას: თუ მთხოვნელს ან ბავშვებს მეუღლე სასტიკად ეპყრობა, აუპატიურებს, თუ, მეორე, მეუღლეს ავი სენი სჭირს, სამარცხვინო ცხოვრებას ატარებს, ჰლოთობს, ანუ მფლანგველია, თუ ბოროტის განზრახვით თავს ანებებს თავისს თანამეცხედრეს და ეს თავ-დანებება წელიწადზედ მეტს დროს გასტანს, თუ ქმარს დაბინადრებული საცხოვრებელი ადგილი არა აქვს. წესებშივე ნათქვამია, რომ განცალკევებით ცხოვრების ნებას ვერ მისცემს სასამართლო, თუნდა ამას ორივე მეუღლე თხოულობდეს, თუ ამასთანავე ერთ-ერთი ზემო დასახელებულ მიზეზთაგანი არა არსებობს. განცალკევებით ცხოვრების ნება-რთვა უნდა მიეცეთ მეუღლეთ 1-დგან 3 წლამდე, ანუ უვადოდ; სასამართლოს შეუძლიან განსაზღვრით დადებული ვადა მთხოვნელს გაუხანგრძლივოს.

რაც შეეხება ასეთ განცალკევებით ცხოვრების შედეგს, ესეც წინ დანახული აქვს პროექტს: პირადად ცოლი სრულიად თავისუფალი ხდება და ისეთ შემთხვევაში, როდესაც აწინდელის კანონით მხოლოდ ქმრის ნება-დართვით შეუძლიან ხელშეკრულობა რამ დასდოს, მაგალითებრ, თამასუქზედ მოაწეროს ხელი, ანუ მოსამსახურედ შევიდეს, ქმრის ნება-რთვა აღარა სჭირია. ქონებრივად განცალკევებით ცხოვრება არ ანთავისუფლებს ქმარს ცოლის შენახვის მოვალეობისაგან; ეს-კია, რომ თუ ცოლ-ქმრის განცალკევებით ცხოვრების მიზეზი ცოლია, მაშინ ქმარი მოვალეა მხოლოდ იმდენი აძლიოს, რაც საკმაო იქნება მარტო იმისს ყოვლად საჭირო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

პროექტის შემდგენელნი, რასაკვირველია, უყურადღებოდ ვერ დასტოვებდნენ იმ საგანს, თუ რა მოელის შვილებს მშობლების ასე განცალკევების დროს. პროექტით, ბავშვების ბედ-იღბალი დამოკიდებულია მეუღლეთა თანხმობისაგან; თუ ამ მხრივ მეუღლენი ვერ მორიგდნენ ერთმანეთში, ვაჟიშვილები მამასთან უნდა იყვნენ და ქალიშვილები დედასთან; თუ განცალკევებით ცხოვრების მიზეზი ერთი რომელიმე მეუღლეა, მეორეს უფლება აქვს ითხოვოს, რომ შვილები მარტო იმასთან დარჩნენ. აქაც ოლქის სასამართლოს, თუ საჭიროებამ მოითხოვა, შეუძლიან, შემთხვევის შესაფერად, შვილები ან მამას ჩააბაროს, ან დედას. რაც შეეხება მშობლიურს უფლებას, ეს უფლება იმას ეკუთვნის, რომელსაც შვილები ჩაჰბარდება. შვილების შენახვა უმთავრესად მამის მოვალეობას შეადგენს. შვილის შესანახად სასამართლოს მიერ გარდასახდელი ფული შეიძლება უზრუნველ-ყოფილ იქმნას იმ მეუღლის ქონების შეკვრით, რომელსაც სასამართლო ამ მოვალეობას აკისრებს. თუ ის მეუღლე გარდაიცვალა, რომელსაც შვილები ჰყავდა ჩაბარებული, ყმაწვილების პატრონობა ჩაჰბარდება მეორე მეუღლეს, ან განსაკუთრებით დანიშნულს მზრუნველს.

განცალკევებულ მეუღლეთ შეუძლიანთ კვლავ ერთად დაიწყონ ცხოვრება ან საერთო სურვილით, ან თუ აცილებულია ის მიზეზი, რომლის გამოც სასამართლომ ნება დართო ცალკ-ცალკე ცხოვრებისა.

მოსახსენებელია ისიც, რომ ცოლ-ქმართა განცალკევების საქმეები ოლქის სასამართლომ საზოგადო დავა-საჩივრის წესით უნდა განიხილოს, მცირეოდენის განსხვავებით. ეს განსხვავება ის არის, რომ ასეთი საქმე განხილულ უნდა იქმნას გარეშე ხალხის დაუსწრებლად; კანონს რომ გზა არავინ აუხვიოს, სასამართლოს უფლება აქვს თავისით ჩვენება ჩამოართვას როგორც თვით მეუღლეთ, ისე სხვათაც, რომელთაც იმათი ამბავი ეცოდინებათ. რადგან ცოლ-ქმართა განცალკევებით ცხოვრების შესახებმა დავამ შეიძლება დიდხანს გასტანოს და იმ აზრით, რომ ადრევე შეიძლებოდეს მოსპობა ცოლ-ქმართა უთანხმოებისა, სასამართლოს შეუძლიან, მომჩივარის თხოვნით, დროებით დავის გარდაწყვეტამდე ნება მისცეს მეუღლეს ცალკე ცხოვრებისა. ამას გარდა, რადგან ცოლ-ქმართა განცალკევება მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში შეიძლება, სასამართლოს მოვალეობად ეკისრება ეცადოს მეუღლეთა მორიგებას და ამ მორიგებისათანავე საქმე მოსპოს. ასეთ საქმეთა განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს

*) იხ. „ივერია" № 8.

ბრალმდებელმაც, რომელმაც თავისი აზრი უნდა წარუდგინოს სასამართლოს და რომელსაც, როგორც მომჩივარსა და მოპასუხეს, შეუძლიან არ დაეთანხმოს სასამართლოს გარდაწყვეტილებას და ერთის თვის განმავლობაში სააპელაციო საჩივარით პალატაში გადიტანოს საქმე. დასასრულ, რადგან მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების საქმეების განხილვის წესი ოლქის სასამართლოში სრულიად განსხვავება იმ წესს, რომლითაც აწარმოებენ სასულიერო სასამართლონი ქორწინების დარღვევის საქმეს, ოლქის სასამართლოში გამორკვეული ვითარება საქმისა, თუნდა იგი ქორწინების დარღვევის საბუთადაც გამოდგებოდეს, სასულიერო სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის; ამ გვარადვე, თუ სასულიერო სასამართლომ ქორწინების დარღვევის თხოვნა არ შეიწყნარა, ეს მეუღლეთ უფლებას არ ართმევს სამოქალაქო სასამართლოს წინაშე განცალკევებით ცხოვრების შესახებ შუამდგომლობის აღძვრისას.

რასაკვირველია, ამ პროექტს შეიძლება შემოღების დროს ზოგიერთი, ეხლა ძნელად გასათვალისწინებელი, ნაკლი აღმოაჩნდეს და შემდეგ შესწორება და შევსება დასჭირდეს, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არა ვთქვათ, რომ ამ ახლად შემოსაღებს კანონს დიდი მნიშვნელობა ექმნება ცხოვრებაში, მრავალჯერ დაედება იგი წყლულის შემამსუბუქებელ მალამოდ ცოლ-ქმართა ხშირად გამწვავებულს, ყოვლად აუტანელსა და სათაკილო დამოკიდებულებას და ბევრს უნუგეშოსა და უიმედოს, სამართლიანად მდრტვინავს გაუბედურებულს მეუღლეს თავისუფლად ამოასუნთქებინებს.

ფარნაოზი

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ აზნაურნი: იოანე ჩიქოვანი, ივანე ლალიაშვილი, დიმიტრი ალშიბაია და იოსებ მამალაშვილი ფოსტალიონებად: პირველი—შულავერის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა, მეორე—გორის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა, მესამე და მეოთხე—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა.

დანიშნულ იქმნა ბესარიონ ხმალაძე—ზურზუნის საფოსტო განყოფილების უფროსად.

გადაყვანილ იქმნენ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: ტფილისის პირველ საფოსტო განყოფილებისა—შანშიაშვილი, კარაკლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა—ისაშვილი, ახალთუშნის ფოსტა ტელეგრაფის კანტორისა—რაზიკაშვილი და ამავე კანტორის ფოსტალიონი—კაშია: პირველი, მესამე და მეოთხე—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, ხოლო მეორე—ყაზახის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის განყოფილებაში; ერევნის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი სულაქველიძე—ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ფოსტალიონები: ბათუმის ფოსტა ტელეგრაფის კანტორისა ალექსანდრე მაჭავარიანი და გორისა—ალექსანდრე კობახიძე და სარდიონ დათიაშვილი.

## ახალი ამბავი

*** ბაქოდგან შემდეგი დეპეშები მივიღეთ:

„კვირას, 16 იანვარს, ბაქოს ქართველობამ გარდაიხადა პანაშვიდი განსვენებულის გიორგი წერეთლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ რედაქტორები გაზ. „კასპისა“ ტოპჩიბაშევი და „ივერიისა“ ი. ჭყვავაძე“.

„დღეს, ქართულ მწერალის გიორგი წერეთლის გვამის დასაფლავების დღეს, გარდახდილ იქმნა ქართულს ენაზედ პანაშვიდი. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო როგორც ქართველნი, ისე სხვა ტომისანიც“.

*** ტფილისის გუბერნატორს გარდაეცა 10,000 მანეთი იმ ხარჯისთვის, რომელიც ჭირიან საქონლის ამოწყვეტას დასჭირდება.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა უკანასკნელ კრებაზედ დაადგინა, სხვათა შორის, გადასდოს 3000 მანეთი კონდოლის ამერიკულ ვაზის სანერგეში ძველის შენობის შესაკეთებლად. ამას გარდა კომიტეტმა დაადგინა გამოიწეროს საზღვარგარეთიდგან 10,000 ამერიკული ვაზი კახეთსა და შავის ზღვის პირის გუბერნიაში დასარგავად.

*** წარსულის წლის 23 დეკემბერს გორის ქალაქის თვით-მმართველობას დაუდგენია იშუამდგომლოს ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზედ ხაზინის ხარჯით წყლის გასაკავებელი კედელი იქმნას აგებული. ეს დადგენილება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ მარჯვენა მხარეს მტკვრის ნაპირი შეუმაგრებია, რის გამო წყალი მარცხენა მხარეს მიაწყდა თურმე. ადიდების დროს შესაძლებელია მდინარემ დიდი ზარალი მიაყენოს ქალაქს.

*** აზრადა აქვთ ტფილისის ხარჯის ამკრებ ინსპექტორთა კრება მოახდინონ. კრება ამ ახლო მომავალში მოხდება.

*** რუსეთის საელექტრონო საზოგადოებამ „უნიონმა“ დეპეშით სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას გადასდოს ელექტრონით ქუჩების განათების საქმის გადაწყვეტა იმ დრომდე, ვიდრე ტფილისში ამ საზოგადოების წარმომადგენელი ინჟინერი ბატაილი ჩამოვა. ბ-ნი ბატაილი უკვე წამოსულა პეტერბურგიდგან.

*** „ცნობ. ფურ.“-ი იუწყება: „ტფილისში დეპეშა მოვიდა, რომ ქ. გეოგჩაიში მოუკლავთ ექიმი იოსელიანი. მკვლელი ვიღაც ფერშალი ყოფილა, რომელიც უკვე შეუპყრიათ.

*** ქ. იურიევი. წარსულ დეკემბრის 15 დამთავრდა სახელმწიფო გამოცდა იმ სტუდენტთა, რომელთაც 1899 წლის მაისს დაასრულეს სწავლა აქაურ უნივერსიტეტში. ამ წელს მხოლოდ ერთმა ქართველმა, სახელდობრ იაკობ გძელიშვილმა, დაამთავრა სწავლა და მიიღო კიდეც ექიმობის ხარისხი.

*** ს. ქართლი. ყველა გაზეთის ხელის მომწერლები ტყუილად ვხარჯავთ ფულს, რადგან ვერც ერთს ნომერს ვერ ვღებულობთ. თუ კაცი გაზეთის მოსვლის დროს სადგურში არის, მაშინ შეიძლება ელირსოს თავისის გაზეთის მიღებას, თუ არადა, ისე ჩაიყლაპება, რომ ვეღარაფერს გაიგებს. აქაური სადგურის უფროსი, გაზეთებს როგორც მოიტანენ, მიჰყრის იქვე სტოლზედ და მიანებებს თავს.

ამით სარგებლობენ ზოგიერთი ვაჟბატონები და სხვისი გაზეთი მიაქვთ, პატრონი-კი ცარიელი რჩება.

*** ტფილისის პირველი გიმნაზიის მთავრობა გაზეთ „კავკაზში“ აცხადებს, რომ რადგანაც სასწავლებლის პანსიონში დღესასწაულებიდგან მოსწავლეების დაბრუნების შემდეგ, ყელ-ჭირვება გაჩნდა, დროებით სწავლა შეწყვეტილია.

## გიორგი წერეთლის გვამის დაკრძალვა

კვირას, 16 იანვარს, დიდუბის ეკკლესიის გალავანში დაასაფლავეს გვამი გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა. დილის 10 საათისთვის აუარებელი ხალხი შეიკრიბა განსვენებულის სადგომში არტილერიის ქუჩაზედ. იქვე მივიდნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა დეპუტაციები: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, ტფილისის თვით-მმართველობისა, ქუთაისის საზოგადოებისა, ქართველ ქალებისა, დრამატიულ საზოგადოებისა, ქართულ დასისა, ბათუმის საზოგადოებისა, შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა, ქუთაისის ბანკისა, ჭიათურის საზოგადოებისა, გორის საზოგადოებისა, ტფილისის ქართულ და სომხურ გაზეთების რედაქციებისა და მრავალ სხვათა. 10 საათზედ გვამი ქაშვეთის ეკკლესიაში წაასვენეს, სადაც გორისა და ალავერდის ეპისკოპოსებმა ყოვლად უსამღვდელოესთ ლეონიდმა და კირიონმა სამღვდელოების თანამწირველობით წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. წირვის გათავების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა მ. მარკოზ ტყემალაძემ, ხოლო პანაშვიდის დასასრულს მღვდელმა დ. ჯანაშვილმა. შემდეგ გვამი მიხეილის ქუჩით დიდუბეში წაასვენეს. წინ მიდიოდნენ ამქრები თავიანთის დროშებით, შემდეგ დეპუტაციები. კუბო დიდუბის ეკკლესიამდე ხელით მიასვენეს. სამ სამგლოვიარო ეტლს მრავალი გვირგვინი ამკობდა. გვირგვინები იყო ქართულ და სომხურ ჟურნალ-გაზეთობისაგან, ქუთაისის, გორის, ფოთისა, ბათუმისა, კავკავის, განჯის და სხვა ქალაქების ქართველებისაგან, სხვა და სხვა სასწავლებლის მოსწავლეთაგან, ქართველ სტუდენტებისაგან და მრავალ სხვათაგან. დიდუბის ეკკლესიამდე კუბო აუარებელმა ხალხმა გააცილა.

სასაფლაოსთან დასვენების შემდეგ მიცვალებულისა და სასაფლაოს ფოტოგრაფიული სურათი იქმნა გადაღებული. შემდეგ დაიწყო სიტყვების წარმოთქმა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა თ. აკაკი წერეთელმა, მერე „მშაკის“ რედაქტორმა ქალანთარმა რუსულად, რომელმაც, სხვათა შორის, აღნიშნა ის გარემოება, რომ განსვენებული ქართველთა და სომეხთა ერთობის თანამგრძნობელი იყო, და აგრეთვე ის, თუ საზოგადოდ ერთა შორის ერთობასა და მეგობრობას რა დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურისა და განვითარებისათვისაო. მერე ილაპარაკა ქუთაისიდგან ჩამოსულმა ბ-ნმა ფირცხალავამ და კ. ჩხეიძემ. მშვენიერი სიტყვა წაიკითხა ბ-ნმა პ. უმიკაშვილმა. დიდი რვეული წაიკითხა ი. ცინცაძემ, რომელშიაც აღნიშნა გ. წერეთლის მოღვაწეობა და ამავე დროს ვინც ოდესმე გ. წერეთელს შეკამათებია და, რასაკვირველია, ი. ცინცაძემ „ივერია“ განსაკუთრებით ნიშანში ამოიღო (!!!) ლექსი წაიკითხა განსვენებულის შესახებ იაშვილმა, კ. ყიფიანმა ქართულ დრამატიულ საზოგადოების მხრივ განაცხადა მწუხარება გ. წერეთლის მიცვალების გამო, წაკითხულ იქმნა განდეგილის ლექსი. ასეთივე ლექსები წაიკითხეს იმერიძემ და ქავთარაძემ. შემდეგ ვიღაც ნოშრევან მერკვილაძემ წაიკითხა ლექსებური რაღაცა, რომელშიაც წყევლა-კრულვით იხსენიებდა იმათ, რომელნიც სიცოცხლეში არ თანაუგრძნობდნენ განსვენებულს გ. წერეთელს, ყოველს იმის ნათქვამს დაურღვეველ მცნებად არ აღიარებდნენ და ეხლა-კი იმის კუბოს მოსდევენო. ბოლოს გამოვიდა ვიღაც, რომლის ვინაობა ვერ გავიგეთ, კერვალიძეო ამბობდნენ, და განაცხადა, რომ „ივერია“-ს ზიზღით ვუყურებთ...

$5^{1}/_{2}$ საათზედ ხალხი დაიშალა.

ზოგიერთს გარემოებას, რომელმაც თავი იჩინა გ. წერეთლის დასაფლავების დროს და რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს, შეიძლება შემდეგ დავუბრუნდეთ.

## წერილები ახალქალაქის მაზრიდგან.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

IV

გული ძალზედ გვიცემდა, ბარალეთს რომ მივუახლოვდით. ამ სოფელში შეიკრიბნენ ყველანი, ვინც გადარჩა მიწის ძვრასა, აქ იპოვნეს ბინა და თავ-შესაფარი უსახლ-კაროდ დარჩენილთ. ბარალეთი გაშლილია ვაკეზედ, ზედ პატარა მდინარე ჩამოუდის. სოფლის შუაგულ ადგილას, ქართველს სომეხთა ეკკლესიის გვერდით, გამოჭიმულია, ბარალეთის ორ-კლასიანი სკოლის ქვითკირის შენობა, რომელმაც ფას-დაუდებელი სამსახური გაუწია უბედურს ვარსკვლავზედ გაჩენილ ხალხს. რომელი დიდებული სადგომი, პალატნი და სასახლენი შეედრებოდა იმ ჟამად ამ მშვიდობიანსა და წყნარს შენობას! ჩვეულებრივ დროს ნათელსა ჰფენდა სიბნელით მოცულს მკვიდრსა და გაჭირვების დროს-კი მის მხსნელად და სავანედ გადაიქცა, არასოდეს თვით ტურფად ნაგები შენობაც ასე ძვირფასად და ლამაზად არა მჩვენებია, როგორც მეჩვენა ბარალეთის სკოლის შენობა, როცა მას მივუახლოვდით. უნდა გენახათ, რა მადლიანის თვალით ეთხოვებოდნენ ამ სკოლის შენობას, ვინც სამი-ოთხი დღე თავი შეაფარა მის ჭერსა, და მაშინ მიხვდებით, რა სიკეთე მოუტანა უბედურს ხალხსა ბარალეთის სკოლის შენობამ.

სკოლის ეზო ხალხით იყო სავსე. ვინ მოსთვლის, ვინ არა ფუსფუსებდა და არ ირეოდა აქა! აუარებელი ხალხი დაზარალებული და უბედურებას გადარჩენილი სოფლებიდგან, ჯარები, მაზრის მოხელენი, მასწავლებელნი სკოლისა, მამასახლისი ნაცვლებით, სამღვდელონი, მებატონენი, ყველა, დიდი და პატარა, ზღვასავით აღელდა, ეზოში რომ შევედით. მაზრისა და ჯარის უფროსნი, მასწავლებელნი მიეგებნენ გუბერნატორს და აღელვებულის ხმით უამბობდნენ კანტი-კუნტად, თუ რა ღვთის რისხვა დაატყდა ბარალეთის სამამასახლისოს, რამდენი ადამიანი იმსხვერპლა, რამდენი ამოთხარეს ნანგრევებიდან, რამდენია კიდევ დარჩენილი მიწის ქვეშ, როგორ ასაზრდოეს ხალხი, რა გაჭირვებაში ჩაცვივდნენ საცოდავი უბინაობის გამო საშინელს სიცივეში და სხვანი. ეტყობოდათ, ყველანი, სათითაოდ, ცდილობდნენ მალე გამოეთქვათ, რაც ლოდსავით გულზედ აწვათ.

საშინელი სურათი წარმოგვიდგა თვალს წინ, ფართო და დიდ საკლასო ოთახში რომ შევედით. იატაკზე სამასამდე ადამიანი არეულად ეყარა. ნემსის კუნწი რა არის, ისიც ვერ ჩავარდებოდა ძირსა, ისე იყვნენ მიჯუჯგულნი ერთმანეთზედ. ზოგს შიშისაგან გული ჰქონდა გახეთქილი, ზოგს კიდევ სახეზედ გონების დაბნევა და უაზრობა ეტყობოდა. ოთახის ყველა მხრიდგან მოისმოდა ჩუმი ქვითინი დედაკაცებისა, ბავშვების ტირილი, კვნესა და გოდება დასახიჩრებულთა! დაფლეთილი და ძონძებად ქცეული ტანთსაცმელი, გახუნებული საბნები უარესად გვიწუხებდა სულსა და გულსა. ყველამ იცის, როგორ და რითი იმოსება ჩვენი გაღარიბებული, გაღატაკებული გლეხობა. დღესასწაულშიაც ვეღარ ჩაუცვამს ტანთ რიგიანად უილაჯობისა გამო. თუ ებადათ ხეირიანი საცმელი, სამუდამოდ დაეღუპათ, რადგან უბედურობის დროს ვის ექმნებოდა იმის გული, რომ ტანთსაცმელი გადაერჩინათ. ვისაც რა შერჩენოდა ტანზე, იმ საცმელით გამოვარდნილიყო კარზედ მიწის ძვრის დროს. ბავშვები ნახევარზედ მეტნი ლაზლის წინდებით იყვნენ, დანარჩენთ სულ არა ეცვათ რა. დედაკაცებს ჩითისა, ან ხამის კაბის მეტი არა ჰქონდათ-რა. მოდი და ამ სამოსლით გაუძელ ოც გრადუსიან ჯავახეთის ყინვა-სიცივეს!

ავადმყოფთა შორის ერთი ასე 13—14 წლის გოგო ვნახეთ. საცოდავი კვნესასაც ვეღარ ახერხებდა, ისე ჰქონდა თეძოები ჩამტვრეული. სახის მეტყველება უმტკიცებდა, რომ ჭკუაზედ შეშლილიყო. მკურნალმა ბარამიშვილმა გასინჯა და აღმოჩნდა, რომ საცოდავი ბავშვი მართლაც შიშისა და ელდისაგან გაგიჟებულიყო. სკოლის მეორე ოთახიც სავსე იყო ხალხით, აქაც ისეთივე სივიწროვე ვნახეთ, როგორც პირველში. რადგან სკოლის შენობაში ყველანი ვერ დატეულიყვნენ, მასწავლებლებს სხვა ბინა ეზრუნათ იმათთვის. ბარალეთის მღვდლის ბერიძის სახლსა და სასოფლო ქენონში მოეთავსებინათ დანარჩენნი. ხალხის სიმრავლისაგან ისეთი აუტანელი ჰაერი იდგა ყველა ოთახში, რომ დიდ ხანს გაჩერება ადამიანისთვის აუტანელი იყო, ამისათვის გუბერნატორმა საჭირო ღონისძიება მიიღო, რომ მალე გადაეყვანა ჯანსაღნი და ავადმყოფნი ქ. ახ-

ალქალაქს, საცა მათთვის უკვე დაქირავებულ იყო რამდენიმე ქვითკირის შენობა. სულ ოთხივე ოთახში იქნებოდა შეკრეფილი 500—600 სული.

ვიდრე გავისტუმრებდით ახალქალაქში ხალხს, სიჭირო იყო მათი პურის ჭმევა, რადგან სამის დღის განმავლობაში მაძღრისად არც ერთს მათგანს პური არ ეჭამა. ამისათვის გუბერნატორის ბრძანებით დაჰკლეს რამდენიმე ცხვარი და სადილის მომზადებას შეუდგნენ. სადილის მომზადებამდის შეუდექით ტანისამოსის დარიგებას. სწორეთ დავიტანჯეთ ამ მუშაობით. ტომრებიდგანა და ბოხჩებიდან ამოლაგებული ტანისამოსი თივის ზვინებსა ჰგავდა და მოდი და გაარჩიე, რომელს რომელი საცმელი მოუვა ტანზე! ტანისამოსის დამრიგებელნი ბევრნი ვიყავით, მაგრამ მაინც სასაცილო შეცდომა ბევრი მოგვდიოდა. ჰხედავ გამოშვერილს ხელსა და [illegible] აჩეჩებ ქალის კაბასა, ან კოფთასა; გამოგართმევს და მოგცილდება კმაყოფილებით. მიცემულს ტანისამოსს უცბად გადიცვამს ტანზედ და დარცხვენილი უკანვე ბრუნდება,—სხვა მომეცითო. თურმე ბიჭისთვის მიგვიჩეჩებია ქალის ჩასაცმელი. ასეთივე საქმე ემართებოდათ გოგოებს. უფრო გასაჭირი იყო ტანისამოსის დარიგება ბავშვებისთვის. იმ ვაი-ვაგლახში მოდი და იპოვე ხუთი-ექვსის წლის ბავშვის შესაფერი წინდა, ჩუსტი, ნაბდის წაღა, ჩოხა, ან სხვა რამე, ტანისა დ წლოვანების შესაფერი! თვით გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი იღებდა მონაწილეობას ტანისამოსის დარიგებაში. ერთ 4—5 წლის ობოლ ბავშვს საკუთარის ხელით ჩააცვა ტანთ. სასაცილო და გაჭირვება აქაც ბევრი იყო. ერთი წაღა ვიპოვეთ, მაგრამ მეორე სადღაც გადიკარგა და მთელი საათი მოუნდნენ იმის ძებნას. ვიდრე იპოვნიდნენ, ბავშვი ცალის წაღით თბილს ოთახში შეიყვანეს, ტანთ ჩააცვეს, გაათბეს და ჩაი დაალევინეს. რადგან ამ ახალის სასმელის დალევა არ იცოდა, შაქარი დავასველეთ და პირში ჩაუდეთ. რაკი ტკბილი წვენი იამა, მერე თვითონ ჩაასველებდა ხოლმე ჩაიში შაქარსა და ისე ჰკვნეტდა. როცა გაყინული და გაფიჩხული ბავშვი გონებას მოეგიდა, გამოვკითხეთ, ვინ, ან სადაურია? მასწავლებელმა ალ. მიქელაძემ ძლივს ამოაღებინა ხმა. აღმოჩნდა, რომ მამას დათიკო რქმევია და ძმას ვასო. ესენი საქონელს უვლიანო. ბავშვის ოჯახი, ვგონებ, მთლად დაღუპულიყო; მესამე დღეს მხოლოდ ბავშვის მამა აღმოჩნდა.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ აქაური ქართველები წმინდად ლაპარაკობენ სომხურს. მასწავლებელნი ა. მიქელაძე და ს. გურგენოვი (უკანასკნელი თუმცა სომეხია, მაგრამ როგორც გორელს, დარწმუნებული ვარ, ვიდრე ბარალეთს არ მოვიდოდა ინჩი არ ეცოდინებოდა სომხურისა), ფერშლები ჯაჯანაშვილი და შიუკაშვილი (წინად ამ მხარეს უმსახურნიათ) თავისუფლად ლაპარაკობენ სომხურად, ასე რომ თარჯიმანი სულ აღარა გვჭირდებოდა და მათის შემწეობით ველაპარაკებოდით ხალხსა.

ნაკლები წვალება და ვაი-ვაგლახი არ გამოგვივლია სადილის დარიგების დროს. ჯამ-ჭურჭელი მცირედ იყო, ვიდრე იშოვიდნენ სოფელში, დრო და ჟამი მიდიოდა. ბოლოს როგორც იყო, მოიტანეს სოფლიდგან და ვასადილეთ ხალხი. უცნაურს სურათს წარმოადგენდა ეს აურებელი ხალხი სადილობის დროს: ზოგი ზეზეულა სჭამდა პურსა, ზოგი თოვლზედ გამოიჭიმა, ზოგმა კიდევ სკოლის პარტებზედ იშოვნა დასაჯდომი ალაგი და ზოგმაც ზედ იატაკზედ მოიკალათა. სადილის გათავების შემდეგ დუხაბორების მარხილები მოვითხოვეთ და შევუდექით ავადმყოფთა გაგზავნას ახალქალაქის ქსენონში. თითო მარხილში ეტეოდა 4—5 ადამიანი. ავად-მყოფებთან თითო კარგად-მყოფს ნათესავს ჩავსვამდით ხოლმე. 23 დეკემბერს 14 მარხილი გავგზავნეთ, თან ერთი ფერშალი გავაყოლეთ.

დიდხანს არ დამავიწყდება ეს სურათი. ისეთი კვნესა და ტირილი მოისმოდა, ისეთის დაწყვეტილის თვალით იყურებოდნენ უკან უბედურნი, რომ მათი ცქერა სწორედ გულსა ჰგმირავდა. საბან-ჯეჯიმებში გახვეულნი თავ-ჩაქინდრულნი განუწყვეტლივ ჰგმინავდნენ და სლუკუნებდნენ. გულ დათუთქულნი თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდნენ სამშობლო არე-მარეს, რომელიც ასე უმადურად მოეპყრო და ალბად ასე მწარედ იმისთვის იცრემლებოდნენ.

ერთს მარხილში დიდის გაჭირვებით მოვათავსეთ ოთხი დედაკაცი ბავშვებით. გავკვირდით, უარზედ რომ დადგნენ და მარხილში არა სხდებოდნენ. მაშ სადა გსურთ თავის შეფარებაო? მარხილიდგან გადმოცვივდნენ, ხელიდგან გაგვისხლტნენ და თოვლის ზვინებში მიიმალნენ. ხალხმა გვითხრა, რომ სომხის ბოშები არიანო.

ასეთია ბუნება მაწანწალა „ციგანისა“, რომელსაც ჩვენში ბოშას ეძახიან. მშვიდობიანს, წყნარს ცხოვრებას მუდამ ამჯობინებს ფრინველისავით თავისუფალსა და ლაღს ცხოვრებას. აბა ბოშას რა გააძლებინებს ქსენონში, რომელიც გალიად ეჩვენება. იქ უფრო მალე ამოხდება სული, ვიდრე ქარ-ბუქიან ამინდსა და ყინვაში.

ა. ყ—ძე

## შემოწირულება

მოსკოვის უნივერსიტეტის იმ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ, რომელთაც სწავლის ფულის შეუტანლობის გამო გამორიცხვას უპირებენ, მღვდელმა იოანე დავითაშვილმა შემოსწირა სამი მანეთი.

—

ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოსწირეს: მღვ. სერგი კალაძემ 1 მან., შტატ-გარეშე მღ. მათე კალაძემ 15 კ., მედავ. პეტრე კახიანმა 20 კ., მედ. დიმიტრი ზამთარაძემ 20 კ., ქლემენტ კახიანმა 20 კ., ირინე კახიანმა 20 კ., ტატო ხუნდაძემ 20 კ., ნესტორ კახიანმა 20 კ., ნესტორ ივანეს ძე კახიანმა 50 კაპ., მიხეილ კახიანმა 20 კ., ერმალო კახიანმა 20 კ., ტარასი კახიანმა 25 კ., ვენედიქტე კახიანმა 50 კაპ., თეოფანე კახიანმა 20 კ., ლუკა კახიანმა 20 კ., ლევან კახიანმა 10 კაპ., ხარიტონ კახიანმა 20 კ., ელიზბარ კახიანმა 20 კ., სინო კახიანმა 20 კ., ილიკო კახიანმა 20 კ., თენგიზ კახიანმა 15 კ., იოსებ კახიანმა 20 კ., მარინე კახიანმა 40 კ., თეოფანე კახიანმა 25 კ., პროკოფი კახიანმა 25 კ., სეფე კახიანმა 15 კ., ევსევი მაისურაძემ 25 კ., ლუკა ძაძამიამ 50 კაპ., სარდიონ შილაკაძემ 40 კ., გრიგოლ შილაკაძემ 30 კ., ლევან შილაკაძემ 20 კ., ილარიონ შილაკაძემ 50 კაპ., სიზიტო შილაკაძემ 20 კაპ., ამბაკო კოპალეიშვილმა 20 კ., თედორე კოპალეიშვილმა 10 კ., პავლე კოპალეიშვილმა 20 კაპ., ტიმოთე კოპალეიშვილმა 10 კაპ., პავლე კოპალეიშვილმა 10 კაპ., ივანე კოპალეიშვილმა 10 კაპ., ერმალო კოპალეიშვილმა 20 კაპ., ნესტორ ვერულეიშვილმა 20 კაპ., ანტონ ვერულეიშვილმა 10 კაპ., პავლე რაზმაძემ 20 კ., ლუკა სიხარაძემ 50 კაპ., ივანე მუაძემ 10 კ., ივანე ურდიამ 10 კ., გაბრიელ კალაძემ 10 კ., ონისიმე ჰანჭალეიშვილმა 10 კ.

ეს ფული მღვდელ სერგი კალაძეს შეუკრებნია სოფ. ჯიქთუბანში ხოფლის მცხოვრებთა შორის.

# უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ეს რამდენიმე ხანი იქნება, რაც ინგლისის გაზეთები ხმასავრცელებენ, რომ ორანჟელი ბურები დაჰქდლა ომმა, უკმაყოფილებას აცხადებენ და ტრანსვაალისა და ორანჟის ჯარებს დიდი განხეთქილებაც მოსდით ერთმანეთთანაო. ამ საგნის შესახებ საუბარი ჰქონია გაზ. „Indèpendance Belge“-ს კორესპონდენტს ორანჟის რესპუბლიკის კონსულთან და აი რა უთქვამს ამ უკანასკნელს:

„ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს ხმები სულ ტყუილია, რასაც ადვილად წარმოიდგენს ლოდიკის პატრონი კაცი, თუკი ცოტაოდნად ჩაუკვირდება საქმის ვითარებას. მარტო ერთი ის გარემოება, რომ კაპშტადტიდგან პრეტორიაში მიმავალი რკინის გზა ბლუმფონტეინზედ არის გაყვანილი, იმის მაჩვენებელია, რომ თუ ინგლისელებმა ტრანსვაალი დაიპყრეს, ორანჟესაც იგივე დღე დაადგება. ცხადია, ვის ხელშიაც ამ გზის თავი და ბოლო იქმნება, პატრონი და პატრონი გახდება მთელი ლიანდაგისა. აქ მეტი დასამტკიცებელი საბუთის მოყვანა საჭირო არ არის. ორანჟის რესპუბლიკის თითოეულმა მოქალაქემ იცის, რომ მისი ქვეყნის ბედიღბალი მჭიდროდ არის შეკავშირებული ტრანსვაალის ბედ-იღბალთან, და ამგვარად მეხედულება მშვენივრად იყო გამოთქმული პრეზიდენტის შტეინის პროკლამაციაში. რომელიმე პატარა ერს მძლავრი მეზობელი თუ ჰყავს, რომელიც ელტვის სხვის საკუთრებას, თავისი დამოუკიდებლობის იმედი უნდა დაჰკარგოს. მაგრამ, ამასთან ერთად, როდესაც ამ რესპუბლიკას გადასჭრის კაპიდგან ქაიროში მიმავალი რკინის გზა, რომელსაც ექმნება კომერციული და სტრატეგიული მნიშვნელობა, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამ რესპუბლიკისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მძლავრი მეზობლის თითოეულს ნაბიჯს, რადგან ამ უკანასკნელის მიერ რომელისამე, მეზობლად მდებარე, ადგილის დაჭერა შესაძლოა იქმნება მისი (რესპუბლიკის) დამოუკიდებლობის დაკარგვისა. თავის თავად ცხადია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტიდგან მოყოლებული უკანასკნელ მოქალაქემდის—ყველანი მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლონ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცველად, და ამ შემთხვევაში ჩვენი საქმე და ტრანსვაალის რესპუბლიკისა ერთი და იგივეა, რადგან ორივენი ერთს ტაფაში ვიწვით. აი რისთვის არ უნდა მივაქციოთ არავითარი ყურადღება ინგლისის გაზეთების მიერ გამოგონილს ხმებს. უთანხმოება, რომლის შესახებ ლაპარაკობენ ინგლისელები, არა თუ არ არსებობს, არამედ შეუძლებელიც არის მათი არსებობა. ბურების ჯარში ბევრად მეტი თანხმობა სუფევს, ვიდრე მათი მტრის ბანაკშიო“.

—

**ინგლისი.** დღეს შეიკრიბება ინგლისის პარლამენტი. როგორც მოსჩანს, ისე ოპოზიცია გულსმოდგინედ ემზადებოდნენ ამ დღისთვის. მინისტრებს დიდი ბჭობა-თათბირი ჰქონდათ ერთმანეთ შორის იმ საგნების შესახებ, რომელნიც უნდა განიხილოს პალატამ. სამინისტროს დასისა და ოპოზიციის ლიდერებმა წერილებით მიჰმართეს თავიანთ მომხრეებს, პალატის კრებას ნუ დააკლდებით, რადგან მეტის მეტად საყურადღებო საგნებია გადასაწყვეტიო. ამას გარდა მინისტრმა ბალფურმა თავისს მხრივ შეუთვალა სამინისტროს მომხრეებს: „ქვედა პალატის პირველს სხდომაზე დასწრება მოთავრობის დასის ინგლისში მეოფ ყველა წევრთა მით უფრო არის საჭირო, რომ კაბინეტის მომხრე ბევრი დეპუტატი ამ ჟამად სამხრეთ აფრიკაში იმყოფებაო“.

## დამავიწყდა

ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია არა შემოსავლის სიდიდესა, არა სიმაგრეთა მიუდგომლობასა, არა საზოგადო სახლ-შენობათა მშვენიერებათაგან, არამედ განათლებულ მოქალაქეთა, გონება-განვითარებულ და ხასიათ-განმტკიცებულ კაცთა რაოდენობისაგან. ესენი წარმოადგენენ ქვეყნის უმთავრეს ძალასა და იმისს ჭეშმარიტს ძლიერებას.

***

თქმულა, მოძღვარი იგივ მოესვარი არსო, გარნა არა ხვარბლისა, არამედ სულიერისა თესლისა: ზნეობისა, ქცევისა, სიტყვა-პასუხისა, წიგნისა.

ლასურიძე

### ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის შტატ ტეხასში ამას წინად ერთი კაცისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ. მოხელეებს, შეუტყვიათ-რა, რომ ამ კაცს ღარიბი ცოლ-შვილი რჩება, დაუდგენიათ, სიკვდილის დასჯით ვისარგებლოდ და ცოლ-შვილს ფული მოვუკრიბოთო. ამ აზრით მოედანზედ, სადაც უნდა დაესაჯათ დამნაშავე, სკამები და ესტრადები გაუმართავთ ხალხისათვის და ფული მოუკრებიათ. თითო ადგილი 2—4 მანეთამდე გაუყიდნიათ. მოუკრებიათ სულ 4000 მანეთი. დასჯის წინ დამნაშავეს დიდი მადლობა გამოუცხადებია იმის ცოლ-შვილის სასარგებლოდ ფულის მოკრებისათვის.

***

დღემდის მთელ დედამიწის ზურგზედ უდიდეს გემად გერმანიის გემი „ვილჰელმ დიდი“ ითვლებოდა, მაგრამ ეხლა მას ბევრით გადააჭარბა ინგლისის გემმა „ოკეანიამ“. სიგრძე ამ გემს 215 მეტრი ჰქონია. ამ გემით შეიძლება 28,500 ტონის ტვირთის ზიდვა. დაეტევა მასზედ 2,165 კაცი.

***

ესპანიის ქალაქ ბარცელონაში საოცრად მძვინვარებს თურმე ამ ჟამად ინფლუენცია. ყოველ დღე ამ სენისაგან აურებელი ხალხი იხოცება თურმე. ქალაქში თითქმის ყველანი ავად არიან ინფლუენციით.

***

პრეზიდენტ კრიუგერს ერთი დიდი ალმასი ჰქონია, რომელიც სამ მილიონ ფრანკად ჰღირს თურმე. ამ ალმასის შესახებ აი რა უამბნია ერთ ზულუსს, სახელად მამელას: „კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ზულუსების ქვეყანაში ცხოვრობდა მეფე მაშეხი. მაშეხმა მტრების მოსაგერებლად მეგობრული კავშირი დასდო მეორე მეფესთან, რომელსაც სახელად შაკეს ეძახდნენ, და ამ კავშირის გასამტკიცებლად ძვირფასი ალმასი უსაჩუქრა. შაკეს შემდეგ მეფედ დინგაანი იყო, ხოლო დინგაანის შემდეგ ხალხმა მეფედ დ წინამძღოლად მე ამირჩია, მაშეხის ალმასიც მე დამრჩა. ერთხელ ბურების ქვეყანაში წავედი ალმასებისა და ოქროს საძებნელად. ბურებმა დამიჭირეს, დამამწყვდიეს და მონად გამხადეს. რამდენჯერმე დავაპირე გაქცევა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე: ბურები ყოველთვის დამიჭერდნენ ხოლმე და უფრო ცუდად მექცეოდნენ. ერთხელ შემიკრეს ხელ-ფეხი და ბნელ გომურში დამამწყვდიეს, მაგრამ კრიუგერმა შეიტყო ეს, განმათავისუფლა, ჰრილობანი თავისის ხელით შემიხვია და თავისთან წამიყვანა. მე და კრიუგერი ხშირად დავდიოდით სანადიროდ. ერთხელ, ასეთ ნადირობის დროს, კრიუგერმა შემამჩნია, რომ ძალიან დაღონებული ვიყავი და მკითხა:— რათა ხარ დაღონებულიო? „იმიტომ რომ ჩემ ხალხსა და მიწა-ადგილს მომაშორეს მეთქი“, მივუგე. მაშინ კრიუგერმა მომცა თოფი, რამდენისამე დღის საგძალი და მითხრა: წადი, გაიპარე, ღამე იარე და დღე დაიმალე, რომ არა გნახონ და კიდევ არ დაგიჭირონო.

მადლობის ნიშნად ვაჩუქე კრიუგერს, ჩემს მეგობარს, ის ალმასი და გავიპარე ჩემს ქვეყანაში“.

# ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო: „ამხანაგი“—უბის წიგნი და კალენდარი 1900 წლისა, გამოცემული „გლეხის“ ამხანაგობის მიერ. კალენდარს ფასი არ აწერია.

### გამოსადეგი ცნობა

უკა მაწყინარია, ჭმეტადრე სუსტ-მორეულ ადამიანთათვისა და ბავშვებისათვის. მაგარი უკა ბავშვებზედ ღვინოსავით ჰმოქმედობს, ათრობს და მილსა ჰკვრის. არც იმ დედაკაცებმა უნდა დალიონ უკა, რომელთაც სუსტი ძარღვები (ისტერიკა) აქვთ. ხშირად მომხდარა, რომ დედაკაცი სრულიად განკურნებულა ისტერიკისაგან, დაუნებებია თუ არა თავი უკის სმისათვის.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 იანვარი.

**პარიჟი.** პარლამენტის წრეებში ამბობენ, რომ მთავრობა ამ ჟამად ცდილობს მიიღოს რაიმე საშუალება პარიჟის მთავარ-ეპისკოპოსის წინააღმდეგ, რადგანაც მან ინახულა ბერები-ასომპსიონისტები, რომელნიც მივიდნენ მთავარ-ეპისკოპოსთან მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად.

**პეტერბურგი.** 15 იანვარს, გერმანიის იმპერატორის დაბადების დღეს, მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ გამართეს საუზმე, რომელზედაც მიწვეული იყვნენ გერმანიის ელჩი და საელჩოს სხვა მოხელენი.

**ხარკოვი.** 17 იანვარს, ხარკოვის სასამართლო პალატის განყოფილება ორელში განიხილავს საქმეს ბრიანსკის ქარხნებში მუშათა შორის მომხდარ უწესოების შესახებ. სამართალში მიცემულია 58 კაცი. ბრალ-

დებულთ იცავენ ვექილები: პლევაკო, მურავიოვი და სხვანი.

**ჰელსინგფორსი.** უმაღლესს სიტყვაში ერის წარმომადგენელთა მიმართ აღნიშნულია, რომ კანონპროექტები შეეხებიან ადგილობრივ საჭიროებებს, უმთავრესად ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობასა. ამიტომ უმაღლესის ბრძანების თანახმად, შედგენილია პროექტი სათადარიგო ჯარში მსახურთა არა მოწვევის შესახებ და ნაჩვენებია, რომ გაუმჯობესებულ იქმნას ხალხის მუშაობის პირობები და გაადვილებულ იქმნას ადგილ მამულის შეძენა უმამულოთაგან. სეიმის მიერ საზოგადო სახელმწიფო საქმეთა შესახებ სჯა აკრძალულია. ტალმანების სიტყვების წაკითხვის შემდეგ, ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორმა წაიკითხა სია უმაღლესს წინადადებათა. ბოლოს ლანდ-მარშალმა აღნიშნა სეიმს და კრებამ ერთხმად დაიძახა „ურა“ მისი უდიდებულესობის პატივსაცემად.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს არ მოსვლია არავითარი ცნობა უორრენის ჯარის დამარცხების შესახებ. მთავრობის აზრით ბრიუსელში გავრცელებული ხმა, ვითომც უორრენის ჯარს დიდი უბედურება შეემთხვა, სიმართლეს მოკლებულია.

„Daily News“-ს სიტყვით, მთავრობა მოსთხოვს პარლამენტს, როგორც-კი დაიწყება კრებები, 20 მილიონ გირვანქა სტერლინგს სამხედრო ხარჯისათვის. „Times“-ი ამბობს, რომ მთავრობამ მეტიც უნდა მოითხოვოსო. „ჩვენ დარწმუნებული ვართ—ამბობს გაზეთი—რომ მთავრობის მოთხოვნილებას ერის წარმომადგენელნი წინ არ აღუდგებიანო. მთავრობა კარგს იზამდა, ეხლავე მოიწვევდეს მილიციის დანარჩენ რაზმებს და გაგზავნიდეს ბრძოლის ველზე მერვე დივიზიას და უმთავრესად კავალერიის მეოთხე დივიზიას“.

**ბერლინი.** ტრანსვაალის ელჩი ლეიდსი აქ მოვიდა. ელჩი სადარბაზოდ იყო სტატს-სეკრეტარ ბიულოვთან. ის საღილად იქნება მიპატიჟებული იმპერიის კანცლერთან, იმპერატორის დაბადების დღეს.

**ლონდონი.** „Times“-ს აუწყობინებენ ჰონკონგიდგან, რომ როგორც კი მოვიდა აქ ცნობა იმპერატორის გარდაცვალების შესახებ, ხსენებულ გაზეთის კორესპონდენტი მაშინვე წავიდა ჩინეთის ცნობილ რეფორმატორ კან-იუ ვეისთან. უკანასკნელი ძალიან დაღონა იმპერატორის თავის მოკვლის ამბავმა და თვალები ცრემლებით აევსო. დილის გაზეთებში დაბეჭდილია შანხაიდგან მიღებული შემდეგი დეპეშა: „ქვრივმა იმპერატრიცამ სამსახურიდგან დაითხოვა ჯარების გენერლის სიმუსი იუნ-ლუ და სხვა მოხელენი, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ეს მოხელენი არ დანაუგრძნობენ ჩინეთის პოლიტიკის ეხლანდელ ცვლილებასაო.

**პრეტორია.** როგორც მოდერ-სპრუიტიდგან იუწყებიან, იქ შეუტყვიათ, რომ ინგლისის ჯარი, 40 ათას კაცისაგან შემდგარი, ცდილობს გზა გაიკვლიოს ლედისმიტისაკენ. წინა დღეს ინგლისის არტილერიამ დაუშინა ყუმბარები ბოტის ბანაკს, მაგრამ ბრძოლა ცალმხრივი გამოდგა, რადგანაც ბურებმა მხოლოდ ოცდაათჯერ გაისროლეს ზარბაზანი. 11 იანვარს ინგლისელებმა ლედი-სმიტში კვლავ ასტეხეს სროლა.

**ლორენცო.მარკეზე.** სარწმუნოდ იუწყებიან, რომ 11 იანვარს მეფეკინგი განთავისუფლებულ იქმნაო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა, იმპერატრიცამ, კობურგოტის პრინცმა და პრინცესა ჰოჰენლოემ 15 იანვარს დაათვალიერეს ვერეშჩაგინის გამოფენა.

16 იანვარი

**კალკუტა.** დღეს ქალაქის სახლში, დარბანგის მაჰარაჯის თავმჯდომარეობით, კრება იყო ინდუსებისა და მაჰმადიანებისა. კრებაზედ დაადგინეს განაჩენი, რომელშიაც დიდი ერთგულებაა გამოთქმული დედოფალ ვიქტორიას მიმართ. დადგენილ იქმნა აგრეთვე, რომ ყველა ეკკლესიასა და მეჩეთში ლოცვა იქმნას გარდახდილი ბრიტანელთა გამარჯვების შესახებ. კრებაზედ შეგროვილ იქმნა 63,000 რუპია *) სამხედრო თანხისათვის, რომელსაც ლონდონის ლორდ-მერი ჰკრებს.

**ბერლინი.** იმპერიის სეიმის ნადიმზედ, რომელიც გამართული იყო იმპერატორის დაბადების დღის პატივსაცემლად, ბალლესტრემმა სადღეგრძელო წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა იმპერატორი და იმპერიის სეიმი ვითარცა ერთა შეკავშირებულნი და ერთმანეთთან დაახლოვებულნი გერმანიის წარმომადგენელნი. გერმანიის საქმე კარგად იქნებაო, სთქვა მან,—ვიდრე ეს ორივე წარმომადგენელი თანხმობით ჰმოქმედებენ. იმპერიის სეიმი სიმაგრეა იმპერატორის უფლებისა და იგი სძენს იმპერატორს სიყვარულსა, ერთგულებასა და რწმენას ერისას. რათა ორივე წარმომადგენელს გაგებული ჰქონდეთ ერთმანერთის აზრი, იმპერატორი თავისს აზრს გამოსთქვამს ხოლმე ყველა საგნის შესახებ. თავისს დროზედ იმპერატორმა განაცხადა, რომ არ მინდა ვიყო ესრედ წოდებულ საკონსტიტუციო ხელმწიფედ, რომელიც ჰმეფობს, მაგრამ არა ჰმართავსო. დასასრულ ბალლესტრემმა შეაქო იმპერატორის განსაცვიფრებელნი განზრახვანი, რისათვისაც გერმანიის ერი განგების მადლობელი უნდა იყოსო და რასაც ხელს უნდა უწყობდესო.

**ბერლინი.** „Lokal Anxeiger“-ში დაბეჭდილია ნალაპარაკევი ამ თანამშრომლისა ლეიდსთან. ლეიდს უთქვამს ყოველთ უწინარეს, რომ ჩემს ბერლინში ყოფნას არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკასთანაო. მე მოწვეული ვარ მხოლოდ იმპერიის კანცლერის მიერ სადიპლომატიო სადილზედ და რამდენსამე დღეს დავრჩები ბერლინში ყოველსავე საპოლიტიკო განზრახვის აცილებულიო. რაც შეეხება იმას, ვითომ შუამავლობა მინდოდეს ბურებსა დ ინგლისს შორის, ბურებს არავითარი მიზეზი არა აქვთ სთხოვონ ამ მხრივ სხვას რამე, რადგან იმათი საქმე ჩინებულად მიდის. ზავის შეკვრის შესახებ მე მხოლოდ საკუთარი აზრი შემიძლიან გამოვთქვა. ჩემის აზრით, ყოველ შემთხვევაში ინგლისი იძულებული იქმნება დაუბრუნოს ბურებს წინად წართმეულ მიწა-წყალის უმეტესი ნაწილი. ამასთანავე თავისსდა-თავადაც აშკარაა, რომ ისინი ეცდებიან უზრუნველ ჰყონ ორივე რესპუბლიკის თვით მყოფელობა. ლედი-სმიტი, მეფეკინგი და კიმბერლეი საპატიმროებია, რომელშიაც ინგლისელები იძულებულნი არიან საკუთარის დაზოგილ სანოვაგით ისაზრდოონო.

*) ოქროს რუპია ჩვენებურს $59^1/_2$ კაპ. უდრის.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი „კავკასისა“, „კვალისა“, „ცნობის ფურცლისა“ და „ივერიის“ რედაქტორთ, რომელთაც დაუთმეს ბაღდადის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს თავიანთი გამოცემ ნი ნახევარ ფასად წარსულ წლის 1-ლ ივლისიდგან ამა წლის 1 იანვრამდე. მივმართავ ყველა გულ-შემატკივარ ქართველთ უმორჩილესის თხოვნით, არ დაიშურონ თავიანთი წვლილი და შემწეობა აღმოუჩინონ სამკითხველოს.

სამკითხველოს დამაარსებელი მასწავლებელი ვარლამ ბურჯანაძე

---

## სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

**პირველს სისხლის სამართლის დეპარტამენტში**

18 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილი)

ვარდებულა სოსიკოს ძის საჯაიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-313 მუხ. 1 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედება.

სამსონ გეგეჭკორისა და ალექსანდრე გეგეჭკორისა, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

**პირველი სამოქალაქო დეპარტამენტი**

18 იანვარი

სენატის ბრძანებისა და დავით პატარაკაციშვილის სააპელიციო საჩივრით ამიერ-კავკ. რკინის გზის წინააღმდეგ დავა დასახიჩრების გამო ფულის გარდახდის შესახებ.

**მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში**

20 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის ეჯუბოვისა ხაზინის წინააღმდეგ მიწის შესახებ მანუჩარ ბასილის ძის რუსიას მიერ დაწყებულ დავის გამო.

სენატის ბრძანებით სიმონ ნადიას მიერ ხაზინის წინააღმდეგ მიწის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

გიორგი ადანიასი იმის შესახებ, რომ მოსპობილ იქმნას დავა 1890 წლის 5 მაისის 600 მან. სესხის ქაღალდის სიყალბის შესახებ.

დავით ბაქრაძის დავა, დაწყებული მღვდელ ზაქარია და გლეხ კიკოლა ბერუკაშვილებისა, გიგო სვირტლაძისა და სხ. წინააღმდეგ მამულის შესახებ.

დავით მერაბის ძის ზარაქაძისა და დავით მეძმარიაშვილისა სიყალბის შესახებ.

**მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი**

22 იანვარი.

იმ დავის საქმე, რომელიც აღიძრა: 1) გორის მაზრის სოფ. ატოცის გამიჯვნის დროს და 2) ზუგდიდის მაზრის სოფ. ხორგას მე-2, 4, 13, 60 ნაწილების გამიჯვნის დროს (საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის შესახებ).

27 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

რობერტ რიხნერის ვექილისა ნიკო გეგენავას წინააღმდეგ მამულისა და შენობის დაქცევის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

რობერტ რიხნერისა დავით ნოდიასთან მამულის დავის გამო.


# განცხადებანი

## ი. ა. პოზინის

კანტორა

მიიღებს ხელის მოწერას ყველა

**მოდის ჟურნალებზედ, ახლად დაბეჭდილ წიგნებზედ და მოდების ალბომებზედ**

(ოჯახისა და სამკერვალოებისათვის)

მოსკოვი, ალექსანდროვის პასაჟი.

პრეისკურანტი მსურველთ უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. წერილი რუსულს ენაზედ უნდა მოიწერონ.

(—6.—)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ.12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში— ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადხედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—65)

## გამოვიდა და დაურიგდა

ყველა წიგნის მაღაზიებს ძმათა თავართქილაძეების შემდეგი ახალი გამოცემანი: 1) კედლის ქართული კალენდარი 1900 წლისთვის 40 კ. 2) საყოველთაო ქართული კალენდარი ყოველი საკალენდარო ცნობებით და სალიტერატურო განყოფილებით 20 კ., 3) უბის წიგნი მშვენიერ ყდაში 30 კ., 4) პატარა კალენდარი 10 კაპ., 5) მეცნიერებისთვის წამებულნი სურათებით 1 მ., 6) ვეფხის-ტყაოსანი ლექსიკონით და სურათებით 30 კ., 7) რუსულ ქართული ლექსიკონი 300 გვერდი 45 კ., და სხვა და სხვა გამოცემანი. ვისაც სურს დათმობილ ფასებათ იყიდოს, მიმართოს ბათომში თითონ გამომცემლების წიგნის მაღაზიას, ტფილისში მაქსიმე შარაძეს, ქუთაისში ნ. ჯანელიძეს.

## ტფილისის საბაღოსნო სკოლა

კისრულობს ხეხილისა და სადეკორაციო ხეების ბაღების მგესი, შედგენასა და გაშენებას, ადგილობრივ და სხვა მემამულეთათვის ხეხილისა და სადეკორაციო ხეების მიწოდებას და საბაღე და სხვა მცენარეთა თესლეულობის გაგზავნას.

(12—6.—9)

**დაიბეჭდა ცალკე წიგნად და იყიდება** ქართულ წიგნის მაღაზიებში ესპანიური მოთხრობა

**„ლაზარილიო ტორმესელი“**

თარგმნილი პეტრე უმიკაშვილის მიერ. წიგნი ორ შაურადა ჰღირს.

(3—უ.—2)

პუშკინის ქუჩაზედ

**ა. ს. ნოტრდამენისა,**

[illegible] 1892 და 1899 [illegible]

[illegible]

(30—44—3)

წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

მოლიპულ გზაზე ან. ერისთავის 1 მ.

თავადის ქალი ჯურბანოვსკისა, თარ. ნ. ავალიშვილისა, 60 კ.

ვეფხვის ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის გ. იოსელიანისა 25 კ.

სიტყვიერების თეორია 1 მან.

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი 15 კაპ.

ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი 40 კაპ.

Письма о грузіи Исарлова 80 კ.

Телавскій уѣздъ Хаханова 1 მ. 25 კაპ.

Древній Анчисхатскій соборъ П. Карбелова—20 კ.

გრამატიკა თ ჟორდანიასი—55 კ.

Новая постановка педагог. дѣла въ учеб. завѣд. И. Ростомова. 20 კ.

საგალობელნი შობის დღესასწაულისა—25 კ.

საერო დღესასწაული—25 კ.

ჩართული ანბანი, გრ. ტატიშვილისა 1 მ.

კანვაზედ საკერი ანბანი მისივე 40 კ.

საყმაწვილო მოთხრობანი, ეკ. გაბაშვილისა 30 კ.

პატარა ლორდის თავ-გადასავალი 30 კ.